


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლორთქიფანიძე გოჩა მიხეილის ძე



გ. ლორთქიფანიძე

ლორთქიფანიძე გოჩა მიხეილის ძე (დ. 3. 02. 1964, ქუთაისი), იურისტი, დიპლომატი. სამართლის დოქტორი (S.J.D., ფორდჰემის უნივერსიტეტი, აშშ). პირველი ქართველი, რ-იც არჩეულია ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშ. სასამართლოს (ICC) მოსამართლედ.

დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკ-ტი (1990), გაიარა ესექსის უნ-ტის (დიდი ბრიტანეთი) მაგისტრატურა საერთაშ. სამართალში (1995), მოიპოვა ჰარვარდის უნ-ტის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (LL.M.) სამართალში (1999).

ლ. ნიუ-იორკის უნ-ტის (აშშ) გლობალური იურიდ. პროგრამების ფარგლებში მუშაობდა საერთაშ. სამართლებრივ კვლევებზე (2004-05). კოლუმბიის უნ-ტში (Columbia University, ნიუ-იორკი) იყო ადამიანის უფლებათა შესწავლის ინ-ტის (ISHR) მიწვეული მკვლევარი და ლექტორი (2005-06). მისი კვლევის საგანი იყო გარდამავალი მართლმსაჯულება და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია. იყო მიწვეული პროფესორი (Adjunct Professor) ამავე უნ-ტში (2007-10); მიწვეული ექსპერტი სირაკუზის (იტალია) სისხლის სამართლის საერთაშ. უმაღლეს ინ-ტში (ISISC) და ლექტორი სპეციალიზებულ პროგრამებში, რ-ებიც ეხებოდა საერთაშ. სისხლის სამართლისა და ICC-ის სტანდარტების დანერგვას (2010-15). 2013-21-ში მოღვაწეობდა თსუ-ში მიწვეული პროფესორის სტატუსით. მისი სამეცნ. კვლევის სფერო მოიცავს საერთაშ. სისხლის სამართალს, ადამიანის უფლებებსა და გარდამავალ მართლმსაჯულებას. არის მრავალი სამეცნ. პუბლიკაციის ავტორი საერთაშ. სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

ლ. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, მ. შ. გაეროში (ნიუ-იორკი) საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად, მრჩევლად (1999–2003) და მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ (2007–10). 2013–20 იყო საქართვე. იუსტიციის მინისტრის მოადგილე (კურირებდა საერთაშ. სასამართლოებსა და ადამიანის უფლებების მიმართულებას), 2020–21 – იუსტიციის მინისტრი. 2020 აირჩეს ჰააგის სასამართლოს (ICC) მოსამართლედ, ხოლო 2024 — სააპელაციო პალატის თავმჯდომარედ. მის სახელს უკავშირდება წარმატებული სამართლებრივი დავა სტრასბურგის სასამართლოში 2008 წ. აგვისტოს ომის საქმეზე და ჰააგის გამოძიების პროცესში საქართვე. პოზიციების გაძლიერება.

2025 მის გარშემო არსებული პოლიტიკური კონტექსტი (აშშ-ის სანქციები) უკავშირდება არა მის პიროვნულ საქმიანობას, არამედ ICC-ის კოლეგიურ გადაწყვეტილებას ისრაელთან მიმართებით.

საერთაშ. ასპარეზზე საქართვე. ინტერესების დაცვისა და სამართლებრივი რეფორმების გატარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (2021).
